ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №42994

ნომერი: AR110982

თარიღი : 27.01.2012

გაცემის თარიღი : 08.02.2012

გაცნობის თარიღი : 09.02.2012

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , წერეთლის გამზირსა და სამტრედიის ქუჩის გადაკვეთა, (ნაკვ.20/32) ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ნინო ციმაკურიძე პ/ნ 01007014387
- თბილისი სამტრედიის ქ. კორ. 1 ბ. 1

ნომენკლატურა :

- საჯარო ინფორმაციის გამოთხოვა
- შეტყობინება არქიტექტურულ ობიექტზე

გადაწყვეტილება

ქალბატონო ნინო,

თქვენი #AR110982. 27.01.12წ განაცხადის საფუძველზე, ქ. თბილისში, აკ. წერეთლის გამზირისა და სამტრედიის ქუჩის გადაკვეთაზე მშენებლობის ნებართვის გაცემასთან დაკავშირებით, გაცნობებთ:

2011 წლის 09 დეკემბრის #12/168012-13 განცხადებით სამსახურს მომართა ამხანაგობა ,,სამტრედია წერეთლის

კუთხე"-ს თავჯდომარემ ზაზა მაღლაფერიძემ აღნიშნულ მისამართზე 2007 წლის 20 ნოემბრის #03/1341 ბრძანებით შეთანხმებული მრავალფუნქციური არქიტექტურული პროექტის ქალაქმშენებლობითი პარამეტრების გაზრდასთან დაკავშირებით. აღნიშნული საკითხი განიხილა ,,ქ. თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა კომისიის" 2011 წლის 14 დეკემბრის #48 სხდომამ, რომლის დასკვნის საფუძველზეც, პარამეტრების გაზრდას მიეცა თანხმობა.

აღნიშნულთან დაკავშირებით გაცნობებთ, რომ 2011 წლის 09 დეკემბრის შემდგომ ამხანაგობა ,,სამტრედია წერეთლის კუთხე"-ს თავჯდომარეს ზაზა მაღლაფერიძეს მშენებლობის ნებართვის მიღებასთან დაკავშირებით არ მოუმართვას, შესაბამისად 2007 წლიდან დღემდე აღნიშნული პროექტის კორექტირების ან ცვლილებების შეტანის შესახებ დამატებითი ადმინისტრაციული აქტის გამოცემა სამსახურის მიერ არ მომხდარა.

ასევე გაცნობებთ, რომ მშენებლობის მიმდინარეობაზე ზედამხედველობა სსიპ თბილისის არქიტექტურს სამსახურის კომპეტენციას არ განეკუთვნება, რის გამოც სამსახური მოკლებულია შესაძლებლობას მოგაწოდოთ ინფორმაცია ჯარიმის დაკისრებასთან დაკავშირებით.